



შპს „ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში“

რექტორის ბრძანება

N 01/73
06.10.2023

73-01-4-202310061707



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების - „ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში“ - 2023-2024 სასწავლო წლის ფარგლებში ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის ვადებისა და აკადემიური კალენდრის ცვლილების დამტკიცების შესახებ

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების - „ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში“ (შემდეგში - „ბრიტანული უნივერსიტეტი“) მოქმედი წესდებით მონიჭებული უფლებამოსილების, ბრიტანული უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 1-ლი სექტემბრის №01/40 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-10 მუხლის მე-6 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2022 წლის 30 დეკემბრის №03/65 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“-ს მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის, ბრიტანული უნივერსიტეტის 2023 წლის 05 სექტემბრის №01/49 ბრძანებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2023 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. უმაღლესი განათლების ორივე საფეხურისა (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა) და მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, ბრიტანული უნივერსიტეტის **2023 წლის 05 სექტემბრის №01/49 ბრძანების** 1-ლი პუნქტით დამტკიცებული **2023-2024 სასწავლო წლის** აკადემიური კალენდარი შეიცვალოს და დამტკიცდეს ამ ბრძანების **დანართი 1-ის** შესაბამისად.
2. ბრიტანული უნივერსიტეტის **2023 წლის 05 სექტემბრის №01/49 ბრძანების** მე-2 პუნქტით დამტკიცებული სტუდენტთა აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადები შეიცვალოს და განისაზღვროს შემდეგნაირად:
„ა) ბიზნესისა და მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა, პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა:

ა.ა.) შემოდგომის სემესტრი: 2023 წლის 11 სექტემბრიდან 2023 წლის 24 სექტემბრის ჩათვლით;

ა.ბ.) გაზაფხულის სემესტრი: 2024 წლის 12 თებერვლიდან 2024 წლის 25 თებერვლის ჩათვლით;

ბ) ბრიტანეთის კვლევების და საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის სამაგისტრო პროგრამები:

ბ.ა.) შემოდგომის სემესტრი: 2023 წლის 3 ოქტომბრიდან 2023 წლის 15 ოქტომბრის ჩათვლით;

ბ.ბ.) გაზაფხულის სემესტრი: 2024 წლის 3 მარტიდან 2024 წლის 10 მარტის ჩათვლით;

გ) მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა:

გ.ა.) შემოდგომის სემესტრი: 2023 წლის 2 ოქტომბრიდან 2023 წლის 15 ოქტომბრის ჩათვლით;

გ.ბ) გაზაფხულის სემესტრი: 2024 წლის 3 მარტიდან 2024 წლის 10 მარტის ჩათვლით.“

3. ბრიტანული უნივერსიტეტის 2023 წლის 05 სექტემბრის №01/49 ბრძანების 1-ელ და მე-2 პუნქტებში შეტანილი ცვლილებების გარდა, სხვა პუნქტების მოქმედება უცვლელად დარჩეს ძალაში.
4. ბრიტანული უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების ბრიტანული უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნება.
5. დაინტერესებული პირებისათვის ბრძანების გაცნობა დაევალოს ბრიტანული უნივერსიტეტის საქმისწარმოების სამსახურს.
6. ბრძანება ძალაშია მისი ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგნილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

მაია გურგენიძე



რექტორი